ქარჩხაძის
გამომცემლობა

შპს ქარჩხაძის გამომცემლობა

თბილისი, ნუცუბიძის I მკრ-რნ N16/15
ტელ.: +995 322 514527
ელ. ფოსტა: info@karchkhadze.ge
www.karchkhadze.ge

25.02.2013

ხელშეკრულება №10

ერთის მხრივ შპს "ქარჩხაძის გამომცემლობა", შემდგომში მოხსენიებული როგორც "**გამომცემლობა**", მისი საწყობის მენეჯერის გიორგი მანჩხაშვილის სახით, ხოლო მეორეს მხრივ მოქალაქე ნონა ფელაძე,შემდგომში მოხსენიებული როგორც "**წარმომადგენელი**", ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს **გამომცემლობის** მიერ გამოცემული წიგნების (შემდგომში მოხსენიებული როგორც "**წიგნები**") შესახებ ინფორმაციის გავრცელება, რომელსაც **წარმომადგენელი** უზრუნველჰყოფს საქართველოს სხვადასხვა სასწავლო დაწესებულებებში. ინფორმაციის გავრცელება ხდება როგორც სარეკლამო ბეჭდური მასალების გავრცელების გზით, ასევე თავად **წიგნების** წარდგინებით (პრეზენტაციებით) შესაბამის დაწესებულებებში.

2. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

2.1 **გამომცემლობა** იღებს ვალდებულებას მოამარაგოს **წარმომადგენელი** როგორც საჭირო საინფორმაციო ბეჭდური მასალებით, ასევე **წიგნების** ეგზემპლარებით.

2.2 **წარმომადგენელი** იღებს ვალდებულებას გაავრცელოს სარეკლამო ბეჭდური მასალები და ჩაატაროს ამა თუ იმ **წიგნის** პრეზენტაციები შესაბამის დაწესებულებებში.

2.3 **წარმომადგენელი** იღებს ვალდებულებას **წიგნების** შეძენით დაინტერესებულ ამა თუ იმ პიროვნებას, ან ორგანიზაციას, მიაწოდოს ამ **წიგნების** ფასდაკლებული ფასები, რომლებიც მას **გამომცემლობისგან** აქვს მიღებული, ამავე დროს კი მიუთითოს **გამომცემლობის** საბანკო ანგარიშები, სადაც ამ პიროვნებებსა თუ ორგანიზაციებს შეეძლებათ თანხის შეტანა ან ჩარიცხვა კონკრეტული **წიგნების** შეძენის მიზნით.

2.4 **გამომცემლობა** იღებს ვალდებულებას **წარმომადგენელს** მიაწოდოს წიგნები, რომლებიც ხსენებულმა პიროვნებებმა თუ ორგანიზაციებმა შეიძინეს

2.5 **წარმომადგენელი** იღებს ვალდებულებას ხსენებულ პიროვნებებსა თუ ორგანიზაციებს მიაწოდოს მათ მიერ შეძენილი წიგნები, ამავე დროს კი **გამომცემლობას** მიაწოდოს ამ პიროვნებებისა და ორგანიზაციების სახელები და მონაცემები.

3. ანაზღაურების პირობები